ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
 # MDF/D/NCS/039-2017

ქ. თბილისი „30“ დეკემბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.3 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1 ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გალაქტიონ ბუაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემსი”** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის დავით ბოლქვაძის სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში, სამართლებრივი აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემით მომსახურების (CPV72321000) შესყიდვაზე (შემდგომში მომსახურება) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **600 (ექვსასი)** ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2 ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და მახასიათებლები განისაზღვრება დანართის N1 მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1.მიმწოდებელი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2.მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150, შემსყიდველის ოფისი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი დიმიტრი კაციაშვილი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება თვეში ერთხელ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშო თვის ფარგლებში ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად სათანადო წესით წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს მოსახურბა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელი დიმიტრი კაციაშვილი.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

16.2.1.მიწოდებული მომსახურების, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

16.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან".

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	**შპს „ჯორჯიან მიკროსისტემსი"**
განვითარების ფონდი	ს/კ: 202 268 517
ს/კ 206074193	ქ. თბილისი, დ.უზნაძის #4
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა;	სს "პროკრედიტ ბანკი"
ხაზინის ერთანი ანგარიში;	ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TRESGE22;	კოდი: MIBGGE22
	ა/ა: GE40PC0293600100008969
გალაქტიონ ბუაძე	დავით ბოლქვაძე
აღმასრულებელი დირექტორი	ფინანსური დირექტორი

დანართიN1

ტექნიკური დავალება

1.ზოგადი მოთხოვნები:

1.1. სისტემის მონაცემთა ბაზა უნდა მოიცავდეს შემდეგი სამართლებრივ აქტებს:

ა)ხელშეკრულების გაფორმების თარიღისათვის მიღებულ და მოქმედ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნორმატიულ აქტებს.

ბ)საქართველოს რესპუბლიის მთავრობების,საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებს და რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

1.2. სისტემა გათვლილი უნდა იყოს მრავალ მომხმარებელზე, ცენტრალური მონაცემთა ბაზით, რომელიც გათვლილი უნდა იყოს არანაკლებ 100 მომხმარებელზე, ამასთანავე მომხმარებლის რაოდენობის გაზრდა არ უნდა იწვევდეს მომსახურების ფასის გაზრდას.

1.3. მონაცემთა ბაზის განახლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ კვირაში ერთხელ.

2.სისტემას უნდა გააჩნდეს შემდეგი ფუნქციური საშუალებები:

2.1. ძირითადი სამართლებრივი აქტების კოდიფიცირებული ტექსტები;
2.2. სიახლეების სია სპეციფიკური ბოლო პერიოდებისათვის;
2.3. სიხალეებში ძებნა;
2.4.ძებნა სათაურით;
2.5. ძებნა ტექსტის მიხედვით;
2.6. ძებნა დოკუმენტის ნომრის მიხედვით;
2.7. ძებნა დროის პერიოდის მიხედვით;
2.8. ძებნა მიმღების მიხედვით;
2.9. ძებნა დოკუმენტის ტიპის მიხედვით;
2.10. სხვადასხვა ძებნის პარამეტრების კომბინირების საშუალება;
2.11. ძებნა ტექსტში;
2.12. დოკუმენტის ექსპორტირება ცნობილ ფორმატებში;
2.13. დოკუმენტის ბეჭდვის საშუალება;
2.14. რჩეულების შექმნა და მართვა;
2.15. დოკუმენტებში ცვლილებების კავშირი ბმულით.

"შემსყიდველი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი
ს/კ 206074193

_____
გალაქტიონ ბუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ჯორჯიან მიკროსისტემსი"
ს/კ: 202 268 517
ქ. თბილისი, დ.უზნაძის #4

_____
დავით ბოლქვაძე
ფინანსური დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **30 დეკემბერი 2016 წ.**

ვადასტურებთ, რომ **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემსი"**-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

გალაქტიონ ბუაძე ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის უფროსი

ირაკლი ფარესიშვილი ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი

ნესტორ ფაცაცია ----------

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის,
ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის
ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი

დიმიტრი კაციაშვილი ----------

5369 0 3-2016-22-1630

N 5369 0 21/12/2016

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

აღმასრულებელ დირექტორს

ბატონ გალაქტიონ ბუაძეს

მოხსენებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ჯორჯიან მიკროსისტემსს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების №MDF/D/NCS/058/2016 – „კოდექსი" ვადა ეწურება ამა წლის 31 დეკემბერს.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რათა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების ღირებულება შეადგენს კვარტალში (სამი თვე) 150 (ას ორმოცდაათი) ლარს. დაფინანსების წყარო - მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი ფინანსური სახსრები.

დიმიტრი კაციაშვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი

ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური